

ფულადი გზავნილები და შინამეურნეობების მოხმარება საქართველოში: შინამეურნეობების გამოკითხვის მონაცემების ანალიზი

ავტორები:
ელენე სამტურიძე
თათია ხიდაშელი

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორების პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არასახავს შვედეთის პოზიციას.

კვლევის კონტექსტი

დიდი ხანია ითვლება, რომ ინოვაციებზე დაფუძნებული ზრდა მუდმივი და არათანაბარი პროცესია. შუმპეტერისეული ტრადიციის თანახმად – რომელსაც კარგად წარმოაჩენს აჟიონისა და ჰოუიტის კრეატიული დესტრუქციის მოდელი – ეკონომიკები ვითარდებიან, მაშინ, როდესაც ახალი, უფრო მაღალი ტექნოლოგიები ანაცვლებენ ძველს და პროდუქტიულობის ზღვარს აფართოვებენ. ზრდის ეს დინამიური ხედვა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ენდოგენური ზრდის თეორიას, რომლის წვლილიც ნობელის პრემიებით აღინიშნა, აჩვენებს, რომ გრძელვადიანი კეთილდღეობა დამოკიდებულია არა მეტი რესურსების დაგროვებაზე, არამედ იდეების, როდუქტის და ორგანიზაციული პრაქტიკის მუდმივ განახლებაზე. ამ მექანიზმის ქვაკუთხედს კონკურენცია წარმოადგენს. მეტოქეობა აიძულებს კომპანიებს იყვნენ ინოვაციურები, რათა „თავი დააღწიონ კონკურენციას“, თუმცა იმავე ინოვაციურმა გარღვევებმა შეიძლება დროებითი საბაზრო ძალაუფლება მისცეს მოქმედ კომპანიებს, რომელთაც ის შეიძლება მომავალი კონკურენტებისგან თავის დასაცავად გამოიყენონ. დარჩება ეკონომიკა ინოვაციური და მოქნილი თუ გახდება ინერტული და გაქვავებული, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება ამ ძალთა ბალანსი დროთა განმავლობაში.

ფულადი გზავნილები საქართველოს შინამეურნეობებისთვის გარე შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა და ბოლო წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10 პროცენტზე მეტს შეადგენს. ფართომასშტაბიანმა ემიგრაციამ რუსეთში, იტალიაში, საბერძნეთში, გერმანიაშია თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულადი გზავნილების ნაკადები შინამეურნეობების საარსებო წყაროს ცენტრალურ კომპონენტად აქცია, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი და დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გარდა მაკროეკონომიკური როლისა, ფულადი გზავნილები გავლენას ახდენს შინამეურნეობების კეთილდღეობასა და სამომხმარებლო ქცევაზე, რადგან ზრდის შემოსავლებს და ამსუბუქებს ლიკვიდობის შეზღუდვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილების მნიშვნელობა მზარდია, ემპირიული მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ რა კავშირია საქართველოში ფულად გზავნილებსა და შინამეურნეობების დონეზე მოხმარების

სტრუქტურას შორის, კვლავ ძალიან მწირია. კერძოდ, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ფულადი გზავნილები მეტწილად იხარჯება საბაზისო სამომხმარებლო საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მოწყვლადობის შემცირებაზე, თუ ხმარდება ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებელი პირობებისა თუ სხვა კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ხარჯებსაც. სათანადოდ არ არის შესწავლილი არც ის, რამდენად სისტემურად განსხვავდებიან ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეოები არამიმღები მეურნეოებისგან დემოგრაფიული შემადგენლობისა და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების თვალსაზრისით.

ეს ნაშრომი მიკროდონეზე იკვლევს კავშირს საქართველოში ფულადი გზავნილების მიღებასა და შინამეურნეოების კეთილდღეობას შორის და აქცენტს აკეთებს შინამეურნეოების მოხმარების დონეებსა და ხარჯების სტრუქტურაზე. ქვეყნის შინამეურნეოების გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ანალიზი იკვლევს, ხარჯავენ თუ არა ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეოები უფრო მეტს ვიდრე არამიმღები შინამეურნეოები და რა განსხვავებაა მათ მხარჯველობით სტრუქტურას შორის; ასევე, იკვლევა თუ არა ეს კავშირები შინამეურნეობის მახასიათებლებისა და რეგიონული განსხვავებების გათვალისწინების შემთხვევაში. ანალიზი ეფუძნება შემდეგ კვლევით კითხვებს:

- გამოირჩევიან თუ არა ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეოები მოხმარების უფრო მაღალი დონით არამიმღებ შინამეურნეოებთან შედარებით?
- როგორ უკავშირდება გზავნილების მიღება შინამეურნეობის ხარჯვით სტრუქტურას, განსაკუთრებით სურსათზე, ჯანმრთელობაზე, განათლებასა და სხვა ძირითად კატეგორიებზე გაწეულ ხარჯებს?
- ნარჩუნდება თუ არა შინამეურნეოების მოხმარებას შორის დაფიქსირებული განსხვავებების კავშირი ფულად გზავნილებთან შინამეურნეოების დემოგრაფიული მახასიათებლებისა და რეგიონული განსხვავებების გათვალისწინების პირობებში?

მონაცემთა აღწერა

კვლევაში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ჩატარებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მიკრომონაცემები. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა არის ეროვნულ დონეზე რეპრეზენტატული შინამეურნეობების კვლევა, რომელიც აგროვებს დეტალურ ინფორმაციას შემოსავლის წყაროების, მოხმარებისა და ხარჯების, დემოგრაფიული მახასიათებლებისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ. ანალიზის ერთეულია შინამეურნეობა. კვარტალური დაკვირვებები აგრეგირებულია წლიურ საშუალო მაჩვენებლებად მოკლევადიანი რყევების გასათანაბრებლად და შინამეურნეობებს შორის შედარებადობის უზრუნველსაყოფად. ანალიზი მოიცავს 2024 წლის მონაცემებს.

გზავნილების მიღება იზომება საზღვარგარეთიდან მიღებული ნაღდი ფულადი შემოსავლის საფუძველზე. ამ ინფორმაციის საფუძველზე, შინამეურნეობები კლასიფიცირდება როგორც გზავნილების მიმღებად ან არამიმღებად ფიქტიური ცვლადის გამოყენებით. შინამეურნეობის კეთილდღეობა წარმოდგენილია მთლიანი სამომხმარებლო ხარჯებით, რომელიც ფართოდ მიიჩნევა ცხოვრების დონის უფრო სანდო ინდიკატორად, ვიდრე შემოსავალი. გარდა ამისა, მონაცემები საშუალებას იძლევა შინამეურნეობების მოხმარება უფრო დეტალურად ჩაიშალოს სხვადასხვა ხარჯვითი კატეგორიების, მათ შორის, საკვების, ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებელი და კომუნალური სერვისების, ტრანსპორტისა და სხვა არასასურსათო პროდუქტების მიხედვით.

აღწერითი სტატისტიკა

ამ სექციაში წარმოდგენილია აღწერითი სტატისტიკა შესაბამისი წონების გათვალისწინებით, რომელიც ადარებს გზავნილების მიმღებ და არამიმღებ შინამეურნეობებს. 1-ელ ცხრილში წარმოდგენილია განსხვავებები შინამეურნეობების მახასიათებლებს შორის. შინამეურნეობის საშუალო ზომა მსგავსია ორივე ჯგუფში; თუმცა, ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში უფრო მეტი ბავშვი და შრომისუნარიანი ასაკის მოზრდილი და ნაკლები საპენსიო ასაკის, განსაკუთრების საპენსიო ასაკის

ქალი წევრია. ეს ტენდენცია თანხვედრაშია მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან, როცა შინამეურნეობაში რჩებიან გარე შემოსავალზე დამოკიდებული პირები, ხოლო ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ შინამეურნეობების ცხოვრებაში, სადაც მეტი დამოკიდებული წევრი ცხოვრობს.

მე-2 ცხრილი აჩვენებს არსებით განსხვავებებს შინამეურნეობების კეთილდღეობისა და ხარჯვის ტენდენციაში. ვხედავთ, რომ გზავნილების მიმღები შინამეურნეობების მთლიანი მოხმარება მნიშვნელოვნად მაღალია – საშუალოდ თვეში დაახლოებით 1,535 ლარი, როცა გზავნილების არმიმღებ შინამეურნეობებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 1,302 ლარია. როგორც ვხედავთ, სხვაობა თითქმის 18%-ს შეადგენს. უფრო მაღალი მთლიანი მოხმარების გარდა, ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები აბსოლუტური მაჩვენებლებით მეტს ხარჯავენ საკვებზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ენერგიასა და ტრანსპორტზე. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვასა და განათლებაზე ხარჯები მნიშვნელოვნად მაღალია ფულადი გზავნილების მიმღებთა შორის, რაც შეესაბამება ჰიპოთეზას, რომ ფულადი გზავნილები ხელს უწყობს ლიკვიდურობის შეზღუდვების შემსუბუქებას და საშუალებას აძლევს შინამეურნეობებს, მეტი ინვესტიცია ჩადონ ადამიანურ კაპიტალსა და ოჯახის კეთილდღეობაში.

საერთო ჯამში, მონაცემები აჩვენებს, რომ გზავნილების მიმღები შინამეურნეობები სისტემატურად განსხვავდება არამიმღები შინამეურნეობებისგან როგორც დემოგრაფიული შემადგენლობით, ისე – სამომხმარებლო ქცევით. მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებები ინფორმაციული ხასიათისაა, გზავნილების მიღება არ არის შემთხვევითი და შესაძლოა ასახავდეს შინამეურნეობის მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან, ისე – კეთილდღეობის შედეგებთან. ამიტომ შემდეგ თავში მრავალცვლადიანი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით ვცდებით დავადგინოთ კავშირი ფულად გზავნილებსა და შინამეურნეობის კეთილდღეობას შორის.

ცხრილი 1. შინამეურნეობის მახასიათებლები ფულადი გზავნილის სტატუსის მიხედვით

ცვლადი	შინამეურნეობა, რომელიც არ იღებს ფულად გზავნილს	შინამეურნეობა, რომელიც იღებს ფულად გზავნილს
შინამეურნეობის ზომა	3.21	3.25
ბავშვები	0.25	0.30
მოზარდები	0.35	0.41
შრომისუნარიანი ასაკის (16-64 წელი) კაცები	0.95	0.94
შრომისუნარიანი ასაკის (16-59 წელი) ქალები	0.85	0.90
საპენსიო ასაკის კაცები	0.26	0.23
საპენსიო ასაკის ქალები	0.57	0.47

ცხრილი 2. შინამეურნეობის კეთილდღეობა და ხარჯები ფულადი გზავნილის სტატუსის მიხედვით

ცვლადი	შინამეურნეობა, რომელიც არ იღებს ფულად გზავნილს	შინამეურნეობა, რომელიც იღებს ფულად გზავნილს
მთლიანი მოხმარება (₾)	1,302	1,535
საკვების ხარჯები (₾)	463	494
ჯანმრთელობის ხარჯები (₾)	132	171
განათლების ხარჯები (₾)	33	54
ენერგიის ხარჯები (₾)	140	175
ტრანსპორტის ხარჯები (₾)	133	164

ემპირიული სტრატეგია

ამ თავში ვიკვლევთ ფულადი გზავნილების მიღებასა და შინამეურნეობების კეთილდღეობას შორის კავშირს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან აღებული ოჯახების დონეზე არსებული მონაცემების გამოყენებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მონაცემები დაკვირვებითი შინაარსისაა, ანალიზისას აქცენტს ვაკეთებთ არა ფულადი გზავნილებისა და შინაურნეობების მოხმარების მიზეზობრივ ეფექტებზე, არამედ მათ შორის პირობითი კავშირის შეფასებაზე.

შინამეურნეობების კეთილდღეობა გამოისახება ლოგარითმებში გამოხატული ოჯახის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯებით. შინამეურნეობების გამოკვლევებში მოხმარება ხშირად გამოიყენება კეთილდღეობის ინდიკატორად, რადგან უკეთ ასახავს გრძელვადიან ცხოვრების დონეს და ასწორებს შემოსავლების მოკლევადიან რყევებს შემოსავლის საზომებთან მიმართებაში.

ემპირიული სპეციფიკაცია გამოისახება შემდეგნაირად:

$$\ln(C_i) = \alpha + \beta \text{Remit}_i + X_i' \gamma + \delta_r + \varepsilon_i,$$

სადაც $\ln(C_i)$ აღნიშნავს შინამეურნეობის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯის ლოგარითმს i შინამეურნეობისთვის; Remit_i არის ბინარული ინდიკატორი, რომელიც ერთის ტოლია, თუ შინამეურნეობა აცხადებს, რომ იღებს ფულად გზავნილს საზღვარგარეთიდან, ნულის ტოლია ყველა სხვა შემთხვევაში; X_i არის შინამეურნეობის დონის დამოუკიდებელი ცვლადების ვექტორი; δ_r წარმოადგენს რეგიონის ფიქსირებულ ეფექტებს; ε_i კი არის ცდომილება.

დამოუკიდებელი ცვლადების შერჩევა ისე ხდება, რომ შემცირდეს გამოტოვებული ცვლადების მიერ გამოწვეული შეფასების ცდომილება (omitted-variable bias) და არ მოხდეს ისეთი ცვლადების ჩართვა, რომლებიც არიან ფულად გზავნილებსა და შინამეურნეობის კეთილდღეობას შორის ურთიერთკავშირის გამომწვევი.

პირველ რიგში, რეგიონის ფიქსირებული ეფექტები შედის ყველა სპეციფიკაციაში, რათა გათვალისწინებული იყოს დროში უცვლელი რეგიონული ჰეტეროგენულობა მიგრაციულ კავშირებში, შრომის ბაზრის პირობებში, საჯარო სერვისებზე წვდომასა და საცხოვრებელი ხარჯების

განსხვავებებში. ამ ფაქტორებმა შეიძლება ერთობლივად იმოქმედონ როგორც ფულადი გზავნილების მიღების ალბათობაზე, ისე – შინამეურნეობების მოხმარების დონეებზე.

მეორე, ანალიზი აკონტროლებს შინამეურნეობის ზომასა და დემოგრაფიულ შემადგენლობას, მათ შორის შინამეურნეობის ზომას, შრომისუნარიანი ასაკის მოზრდილებს და ოჯახის საპენსიო ასაკის წევრებს. ეს ცვლადები ასახავს ოჯახის საჭიროებებსა და სასიცოცხლო ციკლის სტრუქტურაში არსებულ განსხვავებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია მოხმარების შედეგებთან და შეიძლება დაკავშირებული იყოს მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებებთანაც.

მესამე, შინამეურნეობის უფროსი მახასიათებლებს – ასაკს, სქესსა და განათლების დონეს – ვიყენებთ როგორც გრძელვადიანი ადამიანური კაპიტალისა და საბაზისო სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიახლოებულ ცვლადს (proxy variable). მიღწეული განათლების დონე არის კატეგორიული ცვლადი, რომელიც განასხვავებს განათლების დაბალ, საშუალო და მაღალ დონეებს (დაბალი განათლების დონე განხილულია როგორც საბაზისო ჯგუფი), რაც ითვალისწინებს ადამიანური კაპიტალის არაწრფივ ეფექტებს კეთილდღეობაზე და ამავდროულად, თავიდან იცილებს შემზღუდავ ფუნქციურ დაშვებებს.

ფულადი გზავნილების მიღებასა და შინამეურნეობის კეთილდღეობას შორის სავარაუდო კავშირის მდგრადობის შესაფასებლად, ანალიზი მიმდინარეობს სხვადასხვა სპეციფიკაციების საფუძველზე. პირველი სპეციფიკაცია აერთიანებს მხოლოდ გზავნილების ინდიკატორსა და რეგიონის ფიქსირებულ ეფექტებს, რაც ასახავს გზავნილებსა და მოხმარებას შორის კავშირს სივრცითი ჰეტეროგენულობის გათვალისწინების შემდეგ. მეორე სპეციფიკაცია ამატებს შინამეურნეობის ზომისა და დემოგრაფიული შემადგენლობის დამოუკიდებელ ცვლადებს, რაც ანალიზს საშუალებას აძლევს გამოყოს გზავნილებსა და მოხმარებას შორის კავშირი შინამეურნეობის საჭიროებებისა და სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლების განსხვავებებისგან. მესამე სპეციფიკაციას დამატებით დამოუკიდებელ ცვლადებად შემოჰყავს შინამეურნეობის უფროსი მახასიათებლები და განათლების დონე, რაც საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად დაკორექტირდეს შინამეურნეობებს შორის დაკვირვებადი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები. სავარაუდო ფულადი გზავნილების კოეფიციენტის სტაბილურობა სხვადასხვა

სპეციფიკაციას შორის განიმარტება, როგორც დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ კავშირი არ არის განპირობებული დაკვირვებადი ფაქტორების ვიწრო ნაკრებით.

ყველა რეგრესია ფასდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით (OLS). ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება შინამეურნეობების შერჩევითი წონები, ხოლო ჰეტეროსკედასტიკურობის გასათვალისწინებლად – რობასტული სტანდარტული ცდომილებები.

ემპირიული შედეგები

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია უმცირეს კვადრატთა რეგრესიის სხვადასხვა სპეციფიკაციის შეფასებები, რომლებიც იკვლევს გზავნილების მიღებასა და შინამეურნეობის მოხმარებას შორის კავშირს. პირველი სვეტი არის საბაზისო სპეციფიკაცია, რომელიც აკონტროლებს მხოლოდ რეგიონის ფიქსირებულ ეფექტებს. გზავნილების მიღების შეფასებული კოეფიციენტი დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რაც იმაზე მიუთითებს რომ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების მოხმარების დონე 22%-ით აღემატება არმიმღები შინამეურნეობების იმავე მაჩვენებელს რეგიონული ჰეტეროგენულობის გათვალისწინების შემდეგ.

მეორე სვეტი ამატებს შინამეურნეობის ზომისა და დემოგრაფიული შემადგენლობის დამოუკიდებელ ცვლადებს და ამით ავსებს საბაზისო სპეციფიკაციას. ფულადი გზავნილების შეფასებული კოეფიციენტი პრაქტიკულად უცვლელი რჩება როგორც სიდიდით, ისე სტატისტიკური მნიშვნელობით, რაც გვაფიქრებინებს, რომ შინამეურნეობის საჭიროებებსა და სასაცოცხლო ციკლის სტრუქტურას შორის არსებული განსხვავებები არ ითვალისწინებს ფულადი გზავნილების მიმღები და არამიმღები მეურნეობების დაკვირვებულ მოხმარებებს შორის განსხვავებებს.

მესამე სვეტი წარმოადგენს უპირატეს სპეციფიკაციას, რომელსაც შემოაქვს დამატებითი დამოუკიდებელი ცვლადები შინამეურნეობის უფროსი მახასიათებლებისა და განათლების დონის შესახებ. ამგვარად განსაზღვრულ მოდელში ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების მოხმარება 24%-ით მაღალია არამიმღები შინამეურნეობების მოხმარებაზე. ფულადი გზავნილების კოეფიციენტის სტაბილურობა სპეციფიკაციებს შორის მის

თანმდევ დიდ სიდიდესთან ერთად მიუთითებს, რომ ფულად გზავნილებსა და ოჯახის კეთილდღეობას შორის დადებითი კავშირი მყარია.

დამოუკიდებელი ცვლადების შეფასებული კოეფიციენტები შეესაბამება ეკონომიკურ ინტუიციას. შინამეურნეობები, რომლებსაც მეტი შრომისუნარიანი ასაკის წევრი ჰყავთ, აჩვენებენ მნიშვნელოვნად მაღალ მოხმარების დონეს, რაც გულისხმობს, რომ შემოსავლის გამომუშავების უნარი ასეთ შინამეურნეობებში უფრო მაღალია. ამის საპირისპიროდ, შინამეურნეობის უფროსის ასაკი უარყოფით კორელაციაშია მოხმარებასთან, რაც პოტენციურად ასახავს სასიცოცხლო ციკლის ეფექტებს ან შრომის ბაზართან კავშირის შემცირებას ხანდაზმულ ასაკში. შინამეურნეობის უფროსის განათლების დონე აჩვენებს ძლიერ დადებით გრადიენტს – შინამეურნეობებში, რომელთა უფროსს აქვს განათლების საშუალო და მაღალი დონე, მოხმარების დონე მნიშვნელოვნად მაღალია, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანური კაპიტალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შინამეურნეობის კეთილდღეობის შედეგების ფორმირებაზე.

ცხრილი 3. რეგრესიის შედეგები

	(1) ln_cons	(2) ln_cons	(3) ln_cons
იღებს ფულად გზავნილს	0.215*** (0.034)	0.216*** (0.030)	0.238*** (0.029)
შინამეურნეობის ზომა		0.112*** (0.010)	0.093*** (0.009)
შრომისუნარიანი ასაკის მოზრდილი		0.134*** (0.014)	0.150*** (0.014)
პენსიონერები		0.069*** (0.016)	0.174*** (0.020)
შინამეურნეობის უფროსის ასაკი			-0.007*** (0.001)
ქალი შინამეურნეობის უფროსი			-0.107*** (0.021)
საშუალო განათლება			0.100*** (0.033)
უმაღლესი განათლება			0.354*** (0.036)
დაკვირვებები	7667.000	7667.000	7589.000
R-squared	0.066	0.327	0.381

სტანდარტული ცდომილება ფრჩხილებში

* $p < 0.10$, ** $p < 0.05$, *** $p < 0.01$

დასკვნა

ემპირიული შედეგები აჩვენებს რომ საქართველოში ფულად გზავნილებსა და შინამეურნეობების მოხმარებას შორის ძლიერი და მდგრადი დადებითი კავშირია. ყველა სპეციფიკაციაში საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში მოხმარების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე არმიმღებ შინამეურნეობებში შინამეურნეობის შემადგენლობის, შინამეურნეობის უფროსის მახასიათებლების, განათლების დონისა და რეგიონის ფიქსირებული ეფექტების გათვალისწინების შემდეგაც კი. გზავნილების შეფასებული კოეფიციენტის სტაბილურობა მოდელის სხვადასხვა სპეციფიკაციაში მიუთითებს, რომ დაკვირვებულ კავშირს არ განსაზღვრავს დაკვირვებადი შინამეურნეობების მახასიათებლების ვიწრო ნაკრები.

მოხმარების საერთო დონის მიღმა, შედეგები აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში კეთილდღეობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. გაერთიანებული აღწერითი და რეგრესიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ასეთი შინამეურნეობები შედარებით მეტ რესურსს ხარჯავენ კვების, ჯანმრთელობის, განათლების, ენერგიისა და ტრანსპორტის კატეგორიებზე. ეს კი ადასტურებს, რომ ფულადი გზავნილები შემოსავლების გათანაბრების მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც აკმაყოფილებს როგორც საბაზისო მოხმარების საჭიროებებს, ისე ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამ თვალსაზრისით, გზავნილები, როგორც ჩანს, ასრულებს სტაბილიზაციის როლს შინამეურნეობის კეთილდღეობაში და პოტენციურად იცავს შინამეურნეობებს შემოსავლის ცვალებადობისა და ლიკვიდობის შეზღუდვებისგან.

ანალიზის რამდენიმე შეზღუდვა საჭიროებს ყურადღებით განხილვას. პირველ რიგში, ამ ტიპის მონაცემების გამოყენება ზღუდავს ფულადი გზავნილების მიღების მიზეზობრივი ეფექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას შინამეურნეობის კეთილდღეობაზე. შინამეურნეობის დაუკვირვებელი მახასიათებლები, როგორებიცაა მიგრაციის უნარი, რისკის პრეფერენციები, სოციალური კაპიტალი ან მიგრაციამდელი გაუზომავი სიმდიდრე, შესაძლოა ერთდროულად მოქმედებდეს როგორც გზავნილების მიღების ალბათობაზე, ისე მოხმარების დაკვირვებულ შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობის დონის დეტალური

დამოუკიდებელი ცვლადებისა და რეგიონის ფიქსირებული ეფექტების ჩართვა ხელს უწყობს დაკვირვებადი შერჩევის გათვალისწინებას, ნარჩენი დაუკვირვებელი ჰეტეროგენულობა არ შეიძლება გამოირიცხოს.

მეორე, გზავნილების მიღება იზომება თვითშეფასების გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, ამიტომ შეუძლებელია შეცდომების ან არასრული შეფასების გამორიცხვა, განსაკუთრებით ინფორმაციის გადაცემის არაფორმალური არხების შემთხვევაში. ასეთმა შეცდომებმა შეიძლება შეასუსტოს შეფასებული კოეფიციენტები ან დამატებითი ხარვეზი შეიტანოს ანალიზში. მეტიც, ფულადი გზავნილების მიღების ბინარული ცვლადის გამოყენება გამორიცხავს ფულადი გზავნილების ნაკადების პოტენციურად მნიშვნელოვან განზომილებებს, მათ შორის გადარიცხვის ოდენობას, სიხშირეს, რეგულარულობას და გრძელვადიან პროგნოზირებადობას. ყველა ეს ფაქტორი კი შესაძლოა აყალიბებდეს შინამეურნეობის მოხმარებისა და ინვესტიციის ქცევას.

მესამე, ანალიზი ფოკუსირებულია შინამეურნეობის თანადროულ მოხმარებაზე და პირდაპირ არ იკვლევს ისეთ გრძელვადიან შედეგებს, როგორიცაა აქტივების დაგროვება, პროდუქტიული ინვესტიციები, შრომის მიწოდების რეაქციები ან თაობათშორისი ეფექტები. ამიტომ დასკვნები უნდა გავიგოთ როგორც მოკლევადიანი ან თანადროული კეთილდღეობის ასოციაციები და არა როგორც მიგრაციისა და ფულადი გზავნილების დინამიკის გრძელვადიანი ზემოქმედების ამსახველი.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, ანალიზი იძლევა სისტემატურ მიკრო დონის მტკიცებულებებს საქართველოში ფულადი გზავნილების მიღებასა და შინამეურნეობის კეთილდღეობას შორის კავშირის შესახებ. ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითი შინამეურნეობების კვლევის მონაცემების გამოყენებით, კვლევა ადასტურებს, რომ ფულად გზავნილებსა და მოხმარებაზე დაფუძნებულ კეთილდღეობის საზომებს შორის მყარი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. ეს კი გვაძლევს ემპირიულ წარმოდგენას, როგორ აისახება საერთაშორისო მიგრაცია და ფულადი გზავნილების ნაკადები შინამეურნეობების ცხოვრების დონეზე. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასკვნები არ არის მიზეზობრივი, თუმცა ისინი ხაზს უსვამს, რომ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანია შინამეურნეობების სიმყარის, სოციალური დაცვისა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისთვის.

ISET-ის კვლევით ინსტიტუტზე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის მიუკერძოებელი, სამეცნიერო, ეკონომიკური კვლევითი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში მაღალი ხარისხის, აკადემიურად დასაბუთებული კვლევების ჩატარებაზე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა ეფუძნება სამეცნიერო სტანდარტებსა და მეთოდებს.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტს ეკონომიკური ინდექსების და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციების ფართო პორტფელი აქვს. იგი ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სექტორულ ანალიზებს, ასევე აღწერით და შედარებით კვლევებს. ინსტიტუტი ქმნის და იყენებს მოწინავე ეკონომიკურ და რაოდენობრივ-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

2011 წლიდან, დაარსების დღიდან, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრად, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური კეთილსინდისიერებით, მეთოდოლოგიური სიზუსტითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევებით.

ინსტიტუტში მუშაობენ ეკონომისტები და მკვლევრები, რომელთა კვლევითი საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას. სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ISET

ISET POLICY INSTITUTEwww.iset-pi.geiset-pi@iset.ge

+995 322 507 177